

## COVID-19-ს ეპიდემია. რითი აშინებს იგი თანამედროვე მსოფლიოს?!

უკლება ქ., გვეტაძე ლ.

*ქუთაისის უნივერსიტეტი - UNIK  
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია*

**ანოტაცია:** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს, ახალი კორონავირუსის (Covid-19) ეპიდემიური აფეთქება პანდემიად გამოაცხადა. გამომწვევი არის Sars-cov-2, რომლის იდენტიფიცირება მოხდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში, 2019 წლის დეკემბერში. ჯანმო მიიჩნევს, რომ ეს არის პანდემია, რომლის კონტროლიც შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, პანდემიის გამოცხადება განგაშის უმაღლესი დონეა. პანდემიად ფასდება ახალი ინფექცია, რომელიც სწრაფი ტემპით გლობალურად ვრცელდება. პანდემიის დროს ეპიდემია ფიქსირდება რამდენიმე ქვეყანაში ან/და კონტინენტზე. პანდემიას, როგორც წესი, არაფერი აქვს საერთო იმასთან, თუ რამდენად მძიმე და საშიშია დაავადება. ეს არის ახალი პათოგენის აფეთქება, რომელიც მსოფლიოში ვრცელდება. პანდემიისაგან განსხვავებით ეპიდემია არის სიტუაცია, როცა დაავადების აფეთქება უკონტროლოდ ხდება, მაგრამ ის მაინც ლოკალურად მიმდინარეობს ამათუ იმ ქვეყანასა და ტერიტორიაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ახალი კორონავირუსი Covid-19

### შინაარსი:

2003 წელს ჩინეთში გავრცელდა კორონავირუსული ინფექცია, რომელმაც მწვავე რესპირაციული სინდრომი გამოიწვია. მას შარს-იუწოდეს. მაშინ 8092 ადამიანი დაინფიცირდა. მათგან 774 გარდაიცვალა.

2012 წელს საუდის არაბეთში გამოჩნდა კორონავირუსის ინფექცია, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომი-Mers-ი უწოდეს. Mers-ით დაინფიცირების შემთხვევა 2494 იყო. აქედან 858 გარდაიცვალა.

ახალი Covid-19 ის ვირუსის ზუსტი შეფასება რთულია. დაინფიცირების შემთხვევათა სიხშირე მსოფლიოში 5,481,057 -ია. სიკვდილობა--346,071 . ამ ეტაპზე ის ნაკლებად ფატალური ჩანს ,ვიდრე Sars-ი და Mers-ი, მაგრამ სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს (2%), ვიდრე სეზონურ გრიპს (1% -ზე ნაკლები).

კორონავირუსით ნაკლებად ინფიცირდებიან ბავშვები. საშუალო ასაკისა და ხანდაზმულების ინფიცირების მაჩვენებელი არაპროპორციულია.

სიკვდილიანობის მაჩვენებელი მეტია კაცებში, ვიდრე ქალებში, რაც სიგარეტის მოხმარების მაღალ მაჩვენებელს უკავშირდება. როგორც ცნობილია, სიგარეტი იწვევს იმუნური სისტემის დასუსტებას. გარდა ამისა, მამაკაცებში ტიპი-2 დიაბეტი და არტერიული ჰიპერტენზია უფრო მეტადაა გავრცელებული, რაც ზრდის ინფექციით გამოწვეულ გართულებათა რისკს.

მიმდინარეობა:

-Covid-19-s, რომელსაც იწვევს Sars-cov-2, ახასიათებს მსუბუქი, საშუალო და მძიმე მიმდინარეობა. მსუბუქი და საშუალო მიმდინარეობა გვხვდება შემთხვევათა 80% -ში. მძიმე -15 %-ში, ხოლო ძალიან მძიმე-კრიტიკული 5% -ში.

ინკუბაციური პერიოდის საგარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1-14 დღეს, უმეტესად 4-7 დღეს.

კლინიკური სიმპტომები:

-ინფექციის სიმპტომებიდან საყურადღებოა მაღალი ტემპერატურა, ხველა, კუნთების ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, ან უკმარისობა. დაავადება იწვევს რესპირაციულ დისტრესს, ან პნევმონიის განვითარებას.

მსუბუქი შემთხვევები შეიძლება ჰგავდეს გრიპს, ან გაცივებას. სიმპტომები ვლინდება 2-14 დღემდე პერიოდში. ამ დროს არ უვითარდებათ პნევმონია. აღნიშნებათ მხოლოდ დაბალი ცხელება ( ნაკლები 37,8 გრადუსზე) და საშუალოდ გამოხატული სისუსტე, ყელის ტკივილი, ხველა, ანორექსია, კუნთების ტკივილი, დიარეა. სიმპტომების გაჩენიდან საშუალოდ 20 დღეში ხდება გამოჯანმრთელება.

დაავადების გართულებები და მათი საშიშროება:

მძიმე მიმდინარეობის დაავადება პროგრესირებს სწრაფად. შესაძლოა განვითარდეს სეფსისი, სეპტიური შოკი, მეტაბოლური აციდოზი, მულტიორგანოთა უკმარისობა და სხვა. მძიმე მიმდინარეობის შემთხვევაში გამოჯანმრთელებიან 3-6 კვირის ფარგლებში. ლეტალური გამოსავლი დგება 2-8 კვირაში.

მძიმე პნევმონია მოზარდებსა და მოზრდილებში:

-- აღნიშნება ცხელება ან საექვო რესპირაციული ინფექცია პლუს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი:

-სუნთქვის სიხშირე  $>30$ /წუთში,

-მძიმე რესპირაციული დისტრესი,  $SP02$  (სატურაცია)  $<$  ან ტოლია 93%-ზე ოთახის ჰაერზე.

მძიმე პნევმონია ბავშვებში:

--ხველა ან სუნთქვის გაძნელება პლუს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი: ცენტრალური ციანოზი ან  $SPO2$  (სატურაცია)  $<90$ ,

--მძიმე რესპირაციული დისტრესი,

-პნევმონიის ნიშნები ცნობიერების დაბინდვასა და კრუნჩხვებთან ერთად.

მკურნალობა:--მსუბუქ მიმდინარეობას სერიოზული თერაპია არ სჭირდება. მითითებულია სიმპტომური მკურნალობა. რაც შეეხება რთულ შემთხვევებს- სპეციფიკური თერაპია არ არსებობს. მძიმე პაციენტებში სუნთქვის უკმარისობის დროს ხდება სასუნთქი აპარატით ფილტვების ვენტილაცია.

გარკვეული მედიკამენტები, რომლებსაც იყენებენ შიდსის და ართრიტების დროს, შეიძლება იყოს ეფექტური კორონავირუსის ინფექციის შემთხვევაშიც. დღესდღეობით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრეპარატ რემდესივირს. ამჟამად მიმდინარეობს ამ მედიკამენტის კლინიკური გამოცდა.

პროფილაქტიკა:--რაც შეეხება ვაქცინის შექმნას, ის დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს არის ძვირი და სარისკო პროცესი.

## ლიტერატურა

1. Coronavirus disease 2019 situation report 22 march.2020 world health organization.
2. Covid-19 in primary care.(UK) best practice,2020<https://best.practice.bmj.com/topics/ka-ge/3000168/>  
ინფექციის პრევენცია და კონტროლი პოტენციურად ცოვიდ-19 -ის მქონე პაციენტებისათვის  
<https://www.ncdc.ge/Hadlers/GetFile.ashxD-841120C8c570-40fG-b3d1-19e5f6e702fa>
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური სამინისტროს ბრძანება N01-24/ნ, 2020 წლის მარტი
5. Kenneth McIntosh,MD,Martin S.Hirsch MD,coronavirus disease2019 (covid-19)  
<https://www.uptodate.com/contents/coronavirus-disease-2019> covid-19source-hystory widget.

## EPIDEMIC OF COVID-19. WHAT SCARES THE MODERN WORLD?!

Ukleba St., Gvetadze L.

**Summary:** On March 11, 2020, world health organization declared the burst of new corona virus (covid-19) as a pandemia. The first pandemic case identified in China, in Desember2019. The rate of infecting in the world is 5,481057. The number of deaths is 346,071. The most common clinical symptoms are high temperature, cough, pain in muscles gasping or difficulty in breathing. The desease causes respiratory distress or develops pneumonia. There is no specific therapy for curing the desease. Doctors use medicines which are effective for curing aids and arthritis.

**Key words:** New corona virus (Covid-19)